




ქ.დედოფლისწყარო



08.11.2016 წელი

ქ.დედოფლისწყარო.

კოსტავას ქ N44

ტელ.035622503

www.dedoplistska.ro

ელ.ფოსტა dedoplistska-ro-region@yahoo.ge

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის ბრძანება N688

ი.მ „თამარ ტოკლიკიშვილი“-სათვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 57-ე მუხლისმე-3 პუნქტის, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქ.დედოფლისწყაროდან ქ.თბილისში საქართველოს წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში წვევამდელების ტრანსპორტირებით მომსახურებაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტსა და ი.მ „თამარ ტოკლიკიშვილი“-ს შორის დადებული 2016 წლის 25 იანვრის N9 ხელშეკრულების, 2016 წლის 1 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტისა და 2016 წლის 2 ნოემბრის სასაქონლო ზედნადების ელ-0270836391 საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ტრანსპორტის დაქირავებისთვის (გადაზიდვა-გადაყვანა) გათვალისწინებული ხარჯებიდან ი.მ „თამარ ტოკლიკიშვილი“-ს გამოეყოს 179,80 (ასსამოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

2. მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურმა (ელენე ბაიაშვილი), უზრუნველყოს აღნიშნული თანხის ი.მ „თამარ ტოკლიკიშვილი“-ის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვა.

3. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

4. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელთან (ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ.N44) და შემდგომ სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ N15) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სოლომონ ღორაშვილი
გამგებლის პირველი მოადგილე